# საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030171853374620

№ **/**********/**** *

## საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

**1.** „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების N1 და N2 დანართებით განსაზღვრული სამედიცინო დაწესებულებები (გარდა მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებებისა) 2020 წლის 1 ივნისიდან, უფლებამოსილნი არიან სამედიცინო მომსახურება გააგრძელონ/აღადგინონ კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული სანებართვო დანართებით განსაზღვრული საქმიანობის ფარგლებში.

**2.** ამ ბრძანების N1 დანართით (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) სამართავად მობილიზებული კლინიკები) განსაზღვრული სამედიცინო დაწესებულებები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ საწოლფონდის მობილიზება COVID-19-ის დიაგნოზის საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირებისთვის, დანართში მითითებული რაოდენობების შესაბამისად.

**3.** დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს უზრუნველყოს ამ ბრძანების შესახებ სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება.

**4.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის № 01-306/ო ბრძანება.

**5.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2020 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე